პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 17
(3247)
24
1967 წ.
იანვარი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
23-ე წელი

ჩინებული ტრადიცია გრძელდება. ტურისტული მატარებლით „შოთა რუსთაველი" რესპუბლიკის დედაქალაქს სტუმრობენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების მშრომელები. აი, გუშინ თბილისის ვოგზალზე კვლავ ხალხმრავლობა იყო. დამხვდურები საზეიმო შეხვედრას უწყობდნენ წულუკიძის რაიონის მოწინავე ადამიანებს — საკოლმეურნეო მინდვრების, საწარმოთა მუშაკებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

სურათზე თქვენ ხედავთ წულუკიძის რაიონის მშრომელთა ერთ ჯგუფს თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

კენჭისყრის შედეგი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა 1967 წლის თასის საკავშირო გათამაშების კენჭისყრის შედეგები.

როგორც ყოველთვის, შეჯიბრება დაიწყება „ბ" კლასის ზონებში, შემდეგ გამარჯვებულები ჩაებმებიან ბრძოლაში „ა" კლასის II ჯგუფის გუნდებთან, ხოლო მეთექვსმეტედფინალიდან გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი ლიგის გუნდები.

საქართველოს გუნდებისთვის კენჭისყრის შედეგები ასეთია: თბილისის „ლოკომოტივი" 20 აპრილს პერმში ხვდება ადგილობრივ „ზვეზდას", ბათუმის „დინამო" ბარნაულში — „ტემპს", ხოლო ტყიბულის „მეშახტე" ულან-უდეში — „სელენგას".

19 მაისს მოსკოვში ითამაშებენ დედაქალაქის „ლოკომოტივი" და ქუთაისის „ტორპედო". ამავე დღეს კუიბიშევში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი" და თბილისის „დინამო".

რწმენა ძალას ჰმატებს

XXXIV
ფინალი

როცა თავიდანვე კარგად აიღებს სტარტს, მოჭადრაკე მეტი რწმენით იბრძვის ყოველ პარტიაში. ეს ჭეშმარიტება, უპირველეს ყოვლისა, ლიდერებს შეეხება. ამას ადასტურებს XV ტურის შეხვედრებიც.

კროგიუსსა და ლეინს ამ დღეს ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ — სუეტინი და სმისლოვი, მაგრამ ამან როდი შეაკრთო ისინი.

კროგიუსმა სიცილიურ დაცვაში ნაკლებად პოპულარული ვარიანტი აირჩია. სუეტინი თითქოს იერიშისთვის მოემზადა, მაგრამ მეტოქის ცენტრალური პაიკის წინსვლის შემდეგ თავად მოუხდა დაცვაზე გადასვლა. სარატოველმა დიდოსტატმა კარგად დაგეგმა ფიგურების ურთიერთობა და მძლავრად დალაშქრა მეტოქის მეფე. მან ხარისხი მოიგო. 37-ე სვლაზე სუეტინი დანებდა.

სმისლოვმა ალიოხინის დაცვის გათამაშებით სცადა ბრძოლის გართულება, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ლეინმა მარტივი გზით განმუხტა პოზიცია და დიდოსტატს სუსტი პაიკი შეუქმნა. სმისლოვი მზად იყო ეს პაიკი დაეთმო აქტიური თამაშის სანაცვლოდ, მაგრამ ოსტატი მცირე პოზიციური უპირატესობითაც კმაყოფილი გახლდათ. მან მხოლოდ ენდშპილში გადასვლისას აიყვანა პაიკი. პარტია გადაიდო. დაფაზე სხვადასხვა ფერის კუს არსებობა სმისლოვს ყაიმის შანსს აძლევს.

კარგად თამაშობდა ტაიმანოვიც. მან შესანიშნავად ისარგებლა სავონის მცდარი მანევრებით ლაზიერების ფრთაზე და პაიკის შეწირვით წამოიწყო იერიში. ტაიმანოვის კუ, ეტლი და ლაზიერი სახიფათოდ დაემუქრნენ ოსტატის მეფეს. სავონი არ დაბნეულა — მხედარი შესწირა და ცენტრში პაიკების მრისხანე ჯებირი შექმნა. ტაიმანოვმა ბევრი უტრიალა ამ პაიკებს და ბოლოს მაინც მოუნახა „აქილევსის ქუსლი". 38-ე სვლაზე სავონი დანებდა.

კორჩნოის, ალბათ, სჯეროდა, რომ მარტივ პოზიციაში აჯობებდა ლიბერზონს, თორემ ფიგურების გაცვლაზე არ დათანხმდებოდა მას. მაგრამ ლიბერზონი დაკვირვებულად თამაშობდა. იგი „თავს ევლებოდა" კორჩნოის პაიკს, რომელიც სოლივით იყო შეჭრილი. კორჩნოიმ ენდშპილში ამ პაიკის გამოყენება მოინდომა, მაგრამ ამაოდ. პარტია გადაიდო.

მართალია, ლიდერთა ჯგუფში არ არის გურგენიძე, მაგრამ ახლა ისე დიდი მონდომებით და საკუთარი ძალის რწმენით თამაშობდა, როგორც სუეტინთან, კორჩნოისთან.

ქართველმა ოსტატმა თავისებურად გაითამაშა სიცილიური დაცვა და უჩვეულო პოზიცია ააგო. გელერი წინდახედულად აკეთებდა სვლებს, უცდიდა მეტოქის გეგმის გამომჟღავნებას. როცა გურგენიძემ საკონტროლო უჯრაზე მხედრის გადაყვანა ჩაიფიქრა, დიდოსტატი ლაზიერით და კუთი შეიჭრა მეტოქის განლაგებაში. პოზიცია ძალზე გამწვავდა, თუმცა გურგენიძეს მეტი შანსი რჩებოდა. ამასობაში თამაშისთვის განკუთვნილი დროც ამოიწურა. პარტია გადაიდო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

შტეინს უჭირს ნეისთან თამაში. ამიტომ კმაყოფილი იყო, რომ 21 სვლით დაუზავდა მას. „მშვიდობის პაქტს" მოაწერეს ხელი, აგრეთვე, გუფელდ — ნიკოლაევსკიმ და გიპსლის — ვასიუკოვმა.

გულდასაწყვეტად დამარცხდა ბრონშტეინი სავონთან. მან შესანიშნავი იერიში წამოიწყო, მაგრამ სატიკ ცაიტნოტში აღმოჩნდა. იერიშის განვითარების გზები სწრაფად ვერ მონახა და... მხედარი წააგო. ხოლმოვმა მოუგო დოროშკევიჩს.

თ. გიორგაძე.

გუშინ...

XVI ტურში ლიბერზონმა მოუგო სუეტინს, ტაიმანოვმა — გუფელდს, შტეინმა — ბრონშტეინს, გელერმა — ლეინს, გიპსლისმა — ოსნოსს, ნეიმ — ნიკოლაევსკის. დოროშკევიჩ — სავონის პარტია ყაიმით დამთავრდა. გურგენიძე — ვასიუკოვისა და პოლუგაევსკი — ხოლმოვის პარტიები გადაიდო. სმისლოვსა და კორჩნოის არ უთამაშიათ ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო. ლიდერობს გელერი — 10 ქულა.

ა. გიპსლისი.
ფოტო ა. საკოვისა.

დამაჯერებელი წარმატება

დასავლეთ ბერლინის რინგზე გაიმართა საინტერესო საერთაშორისო შეხვედრა კრივში. ადგილობრივი მოკრივეები მასპინძლობდნენ მოსკოველ ათლეტებს. მრავალრიცხოვანი მაყურებელი ინტერესით ადევნებდა თვალს ტყავის ხელთათმანის ოსტატთა დაძაბულ ორთაბრძოლებს. მოსკოვის ნაკრებმა მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 8:2.

ჩვენი გუნდი უმთავრესად ახალგაზრდა მოკრივეებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ მასპინძლებში მოწონება მაინც ვეტერანებმა დაიმსახურეს. მატჩის საუკეთესო მოკრივედ აღიარებულ იქნა ევროპის სამგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ო. გრიგორიევი. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მეორე ვეტერანის — ს. სტეპაშკინის გამოსვლამაც.

მოსკოველთაგან ერთადერთი ბრძოლა ა. ტურკინმა წააგო. ა. ციბორტუმ იგი სამივე რაუნდში დაჯაბნა. მეორე ქულა მასპინძლებმა უბრძოლველად მიიღეს, რადგან მოსკოვის ნაკრებს ერთ-ერთ წონაში მოკრივე არ გამოუყვანია.

კრივი

ახალი ამბები

● ბევერვეიკი, 21 იანვარი. საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში გაიმართა VIII ტური. სპასკიმ მოუგო რუმინელ გიცესკუს. მეორე საბჭოთა მოჭადრაკე ლუტიკოვმა გადასდო პარტია ჰოლანდიელ რეესთან. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ესპანელმა პომარმა დაამარცხა დანიელი ლარსენი, ხოლო ჰოლანდიელმა ლანგევეგმა — თანამემამულე ვან გეეტი. დარგა (გფრ) — საბოს (უნგრეთი), კუიპერს — დონერის (ორივენი — ჰოლანდია), გლიგორიჩ — ჩირიჩის (ორივენი — იუგოსლავია) და რობაჩ (ავსტრია) — კავალეკის (ჩეხოსლოვაკია) პარტიები ყაიმით დამთავრდა. 8 ტურის შემდეგ სპასკის 6,5 ქულა აქვს, ლუტიკოვს — 5,5 და 1 გადადებული პარტია, ვან გეეტს — 5, გლიგორიჩს, პომარსა და ჩირიჩს — 4,5-4,5.

● კალკუტა, 21 იანვარი. თბილისელი ჩოგბურთელი ა. ივანოვა, რომელმაც ახლახან ჩრდილოეთ ინდოეთის ჩემპიონობა მოიპოვა, გავიდა აზიის ღია ჩემპიონატის ფინალში. მეორე თბილისელმა ჩოგბურთელმა — ა. მეტრეველმა რევანში აიღო ბრაზილიელ ჟ. მანდარინოსთან შეხვედრაში (6:4, 6:2, 3:6, 7:5).

● პარიზი, 21 იანვარი. ზამთრის პოპულარული საავტომობილო მრავალდღიანი შეჯიბრება „მონტე-კარლოს რალი" წლეულს 36-ედ გაიმართა. სტარტზე გამოვიდა მსოფლიოს რამდენიმე ასეული საუკეთესო მრბოლელი, მაგრამ ბევრმა მათგანმა ფინიშამდე ვერ მიაღწია — დათოვლილ და გაყინულ გზებზე ჩამორჩა. პირველობა დაისაკუთრეს მრავალდღიანი რბოლების ცნობილმა ოსტატებმა რ. აალტონენმა (ფინეთი) და ჰ. ლიდონმა (ინგლისი), რომლებიც ავტომანქანა „მინი-კუპერით" ასპარეზობდნენ (საბჭოთა სპორტსმენები წლევანდელ რალიში არ მონაწილეობდნენ).

● ფალუნა (შვეცია), 22 იანვარი. მოთხილამურეთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც აქ დაიწყო, გდრ-ის, დანიის, იტალიის, ნორვეგიის, ფინეთის, შვეციისა და სსრ კავშირის 400-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს. ტურნირში გამოდიან მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებიც. ასპარეზობა გახსნეს 15 კილომეტრზე მორბენალმა იუნიორებმა. გაიმარჯვა შვედმა ტ. ლიმბიმ — 48.17,0. II ადგილზეა ა. სილაევი (სსრ კავშირი) — 48.30,0, III — ს. ანდერსენი (ნორვეგია) — 49.45,0. 5 კილომეტრზე ქალიშვილების რბოლა მოიგო ფინელმა ს. სეპაენენმა — 18.26,0. ქალთა ესტაფეტაში 3×5 კილომეტრზე ყველას აჯობა სსრ კავშირის „ტრიომ" — 52.30,0. შვედები II იყვნენ, ხოლო ფინელები — III. ი. ვორონჩიხინი (სსრ კავშირი) III ადგილზეა 30 კილომეტრზე რბოლაში. მას აჯობეს კ. ლიურენმა (ფინეთი) და ე. გრონინგენმა (ნორვეგია).

● ბრენოგლი, 22 იანვარი. აქ ტარდება მოციგურეთა წინაოლიმპიური ტურნირი. 500 მეტრზე რბენაში ყველაზე კარგი შედეგი — 47 წამი აჩვენა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. სკობლიკოვამ, რომელიც მეოთხე წყვილში გამოდიოდა. დღის მეორე შედეგი ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონს ვ. სტენინას, რომელმაც ბოლოსწინა წყვილში იგივე მანძილი 47,3 წამში გაირბინა. სპრინტში თავი ისახელეს ჩვენმა ვაჟებმა: ბ. გულიაევმა და ვ. მურატოვმა ერთნაირი დრო — 41,2 აჩვენეს. მსოფლიო ჩემპიონი ს. სტიანსენი III იყო — 42,2.

● კლინგენტალი, 22 იანვარი. მოთხილამურეთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 10 კილომეტრზე ქალთა რბენა დამთავრდა მოსკოველ რ. აჩკინას გამარჯვებით — 34.54,0.

● ტალინი, 22 იანვარი. 4 მანეჟის ტურნირის მონაწილეებმა — სსრ კავშირის, ფინეთის, ჰოლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა — ლენინგრადიდან აქ გადმოინაცვლეს. ამ ქვეყნების საუკეთესო მძლეოსნებს უნგრელებიც დაემატნენ. 400 მეტრზე ქალთა რბენაში ყველას ისევ ლ. ლოუერმა (ჰოლანდია) აჯობა — 57,8. მას 0,1 წამით ჩამორჩა უნგრელი ა. მუნკაჩი. მესამე იყო ნ. გამანოვა — 59,5. 55 მ ქალთა თარჯრბენში I ადგილზეა კ. კუზმინა, რომელმაც სსრ კავშირის მიღწევა (7,7 წამი) გაიმეორა. თბილისელმა ა. კორნეიჩუკმა ორი გამარჯვება იზეიმა — მან ჯერ ერთ მილზე რბენა მოიგო — 4.22,6, მერე 3.000 მეტრზე რბენაში ისახელა თავი — 8.37,8. სიგრძეზე ხტომაში პირველი იყო ტ. ლეპიკი (ესტონეთი) — 764. ლენინგრადელ ი. ტარმაკს სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებისთვის 2 მეტრის დაძლევაც ეყო.

უკანასკნელი საათის!

◆ კალკუტა, 23 იანვარი. თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა მოიპოვა აზიის ღია ჩემპიონატში „პირველი ჩოგნის" ტიტული ერთეულთა შორის. იგი ფინალში შეხვდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჩემპიონს ე. შაფეის და დაამარცხა იგი — 6:3, 8:6, 6:4.

◆ პარიზი, 23 იანვარი. საფრანგეთის უპოპულარესი ფეხბურთელი, 1958 წლის შვეციის ჩემპიონატის ბომბარდირი, 33 წლის ჟიუსტ ფონტენი თებერვლიდან უხელმძღვანელებს საფრანგეთის ეროვნული ნაკრების წვრთნას.

◆ სიდნეი, 23 იანვარი. 100 მეტრი 11,2 წამში დაფარა 17 წლის ავსტრალიელმა სპორტსმენმა გოგონამ ჯ. ლეიმიმ. ეს შედეგი მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩება პოლონელ ე. კლობუკოვსკას მსოფლიო რეკორდს.

◆ ჰააგა, 23 იანვარი. ბევერვეიკის მთავარ საჭადრაკო ტურნირს 2 ლიდერი ჰყავს — ბ. სპასკი და ა. ლუტიკოვი, რომლებმაც 7,5-7,5 ქულა დააგროვეს.

სარხერელები „პატენტს“ ითხოვენ

ამ სასწავლო წლის პირველ სექტემბერს საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთის მოსწავლეები საოცარი სცენის მოწმენი გახდნენ: სპორტდარბაზის კართან მასწავლებლის ნაცვლად... ნოქარი დახვდათ. გაკვირვებული შეხცქეროდნენ უცხო კაცს, დროდადრო ჯიბიდან ხელს რომ ამოიღებდა, საჩვენებელ თითს ყურს ზემოთ ასწევდა და ბავშვებს სასოფლო მაღაზიის ნაცნობ აბრას აჩვენებდა.

იმ დილით მოსწავლეები თავდახრილნი, ნაღვლიანი დაბრუნდნენ სკოლაში (დარბაზი სკოლის შენობიდან რამდენიმე მეტრითაა დაშორებული).

— რატომ წაგვართვეს დარბაზი? — ეკითხებოდნენ მასწავლებელს.

— ნუ გეშინიათ, ერთ თვეში დაგვიბრუნებენ, — იმედს არ კარგავდა აღმზრდელი.

მას შემდეგ აგერ უკვე 5 თვე გავიდა, სკოლაში ფიზკულტურის სწავლება თვითდინებაზეა მიშვებული, სასწავლო პროგრამა აუთვისებელი რჩება. ვისაც კი ამ მიუტევებელ დანაშაულზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, შორს დაიჭირა, მოსწავლეებს ხელი არაფერში ემლებათო. მოდით, გავეცნოთ სასწავლო პროგრამასა და გეგმებს, გაკვეთილების კონსპექტებს, ჩანაწერებს საკლასო ჟურნალებში. ეს უფრო ნათლად დაგვანახვებს ჭეშმარიტებას.

განა საკლასო ოთახის მერხებზე გადაწყდება მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდისადმი წაყენებული სადღეისო მოთხოვნები?

ვინაა ამ ვაი-თაოსნობის წამომწყები?

რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში წერილობით დოკუმენტს ვერსად მივაკვლიეთ.

სკოლის საკანცელარიო საქმეებში მაინც გამოჩნდა ერთი საყურადღებო დოკუმენტი. აი, ისიც: არგვეთში კულტურის სახლის მშენებლობას ვიწყებთ, არსებულ მაღაზიას მეორე სართული უნდა დავაშენოთ, აცნობებს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ს. ღონღაძე განათლების განყოფილების გამგეს ა. ლომიძეს და იქვე თხოვს, დროებით სკოლის სპორტდარბაზი გვათხოვეთ ამ მიზნითო (1966 წლის 15 აგვისტოს წერილი № 67). ლომიძემ წერილს წააწერა „დირექტორს ამხ. თ. იაშვილს“. „ნება დართეთ“ (!?). ამ ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილებით, ხელის ერთი მოსმით დარჩა ბედის ანაბარა სკოლის 500-მდე მოსწავლის ფიზიკური აღზრდის საქმე.

— რამ გაიძულათ, რომ ხელი შეგეწყოთ ასეთი დარღვევისთვის? — ვკითხეთ განათლების განყოფილების გამგეს.

— ასეთი იყო განკარგულება.

— სიტყვიერი თუ წერილობითი?

— სიტყვიერი.

ყველაზე მშვიდად თავს რაიკოოპერატივის თავმჯდომარე შ. გოცაძე გრძნობს.

— მეგობრულად ვთხოვეთ ამხანაგებს მაღაზიისთვის ადგილის გამონახვაში დაგვხმარებოდნენ და უარი არ გვითხრეს.

მეგობრობაც ასეთი უნდა! ვინ იცის, გოცაძე იქნებ იმასაც ფიქრობს, ნეტავი ეს გამოცდილება სხვაგანაც გამავრცელებინა და „პატენტი“ ამაღებინაო.

ახლა ყოფილ სპორტდარბაზშიც შევიხედოთ. იქ, სადაც წინათ სპორტული ინვენტარი ეწყო, დახლები და თაროებია ჩარიგებული. სკოლას ძვირადღირებული ინვენტარი დარბაზიდან ვერ გაუტანია, რაკი სხვაგან საჭირო ადგილი არ ჰქონდათ მის შესანახად, დარჩესო, თანხმობა მიუცია გამყიდველს. ორძელზე ფართლეულია გამოფენილი, ტანვარჯიშულ ლეიბებზე ვენახის სარწყავი მანქანები აწყვია, ტაიჭზე — კომბოსტოს მწნილით სავსე ქილები...

გამყიდველმა ა. დუმუაშვილმა საყვედურიც კი თქვა:

— მოსწავლეები შემოდიან, ორძელს ეკონწიალებიან და მუშაობაში რომ ხელი არ შემიშალონ, გარეთ ძალით ვერეკებით.

სწორედ ამაზე ყოფილა ნათქვამი, გარეული მოვიდა, შინაური გააგდოო.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
საჩხერის რაიონი, სოფ. არგვეთი.

• • •

სურათზე: ფართლეულით დატვირთული ორძელი.

ფოტო ავტორისა.

პირობა — პირობაა!

... მისაღები გამოცდები ჩავაბარე და თბილისის უნივერსიტეტში ჩავირიცხე. რაკი საწარმოო სტაჟი არ მქონდა, რამდენიმე თანაკურსელთან ერთად საბურთალოს აგურის ქარხანაში გამგზავნეს სამუშაოდ. ვმუშაობდით. შესვენებაზე ბურთს ვთამაშობდით და საღამოს ლექციებს ვისმენდით. პრაქტიკა მალე დამთავრდა, ჩვენც დავემშვიდობეთ მუშებს, ხელმძღვანელებს. მას შემდეგ ხუთმა წელმა განვლო.

და აი, რედაქციაში დამავალეს დამეწერა სტატია აგურის ქარხნის კოლექტივის სპორტულ ცხოვრებაზე. ძველ მეგობრებს მონატრებული, სიხარულით დავთანხმდი. ქარხანას ვეწვიე.

თითქმის ყველაფერი ძველებურად დამხვდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალვის ხეებით შემოჯარულ კალათბურთის მოედანს, რომელიც იქვე, ქარხნის შესასვლელთან მოეწყვიათ. ასეთი ბაზა მართლაც სასიხარულოა მუშა-სპორტსმენებისთვის.

— მგონი, ცუდი არ გამოვიდა, — მომესმა ქალის ხმა, — ეს მოედანი სულ ახლახან გავაკეთეთ. ქარხნის ფიზკულტურის მეთოდისტი ვარ, — გამეცნო ნათელა ნოზაძე.

თვალწინ დამიდგა 1961 წელი. გამახსენდა, როგორ ვთამაშობდით მუშები შესვენებაზე ბურთს საამქროებს შორის, პირდაპირ ასფალტზე. ზამთარში, კი, ვისაც ჯანმრთელობა ხელს უწყობდა მხოლოდ ის თუ შებედავდა ყინულივით წყალს საშხაპეში. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

ახლა?

— სპორტისთვის, ალბათ, ბევრი რამ გაკეთდა ქარხანაში, — ვუთხარი მეთოდისტს, — მე თქვენი მუშაობის გასაცნობად მოვედი.

მასპინძელს ჩემი ნათქვამი მაინცდამაინც არ ესიამოვნა. გაკვირვებული გავყევი საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტისკენ. ერთ-ერთი საამქროს წინ დაჟანგებული ორძელი შევნიშნე. ნაბიჯი შევანელე.

— ნაშთი ძველი დიდებისა! — ექსკურსიამძღოლის განმარტებასავით მომესმა ახალგაზრდა მუშის ხმა.

— ჩვენი ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივიდან ფიზკულტურულ მუშაობაში მხოლოდ 145 კაცია ჩაბმული, ხანდახან ვარჯიშობენ კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში, სროლაში. ფეხბურთელთა გუნდი კი, მათ ენაზე რომ ვთქვათ, „თამაშგარე“ მდგომარეობაში დარჩა, რადგან ძველი მინდორი გაუქმდა, ახალი კი ჯერ არ მოეწყვეა. — ასე დაიწყო ჩვენი საუბარი საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე რ. წერეთელთან. — გვყავს მოწინავე სპორტსმენებიც: მსროლელი ლ. მასტავეი, რესპუბლიკის ნაკრების წევრი ნიჩბოსნობაში გ. ლიქოქელი, მაგიდის ჩოგბურთში — ა. ყუფარაძე...

ფიზკულტურული საბჭოს ხელმძღვანელი რომ ვიკითხე, წერეთელი და ნოზაძე დიდხანს დავობდნენ — ზეინალაშვილია თავმჯდომარე, თუ მექვაბიშვილიო.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტში კარადა სპორტული ალმებითა და ჭადრაკის დაფებით იყო სავსე.

— ეს ისე, დროებით, — ამიხსნეს.— კლუბი დავანგრიეთ და სანამ ახალს ავაშენებდეთ...

— სად და როდის ტარდება სპორტული სექციების მეცადინეობა?

— იცით, სექციების მეცადინეობაც ისე, დროებით შეწყდა უამინდობის გამო (?!).

გამიკვირდა. სპორტულ შეჯიბრებათა ოქმები მოვითხოვე, მაგრამ რაკი საკუთარი კაბინეტი არა აქვს, ნოზაძე ამ ოქმებს შინ ინახავს თურმე.

ამჟამად ქარხანაში სპორტის არც ერთ სახეობაში არ ტარდება მეცადინეობა, ვინაიდან ბაზები არა აქვთ. ინვენტარი მთლად დალპა და გაფუჭდა. ფიზკულტურული საბჭოს ბოლო სხდომა სამი თვის წინ გამართულა. სპორტული კედლის გაზეთი ექვსი თვეა თვალით აღარავის უნახავს.

სათანადო დონეზე დგას საწარმოო ტანვარჯიშის საქმე. ეს თავისთავად კარგია, მაგრამ ასეთი დიდი ახალგაზრდული კოლექტივისთვის მხოლოდ საწარმოო ტანვარჯიში როდი კმარა. ცნობილია, რომ ქარხნის მუშა-მოსამსახურე ქალების ძალზე მცირე ნაწილია სპორტში ჩაბმული.

იანვარში აგურის ქარხანას 25 წელი შეუსრულდა.

„ქარხანამ თავისი არსებობის მანძილზე სამშობლოს მისცა 670 მილიონი ცალი აგური“, გკითხულობთ საქარხნო გაზეთში. რა კარგი იქნება ამ შრომით მიღწევებს სპორტში წარმატებაც ახლდეს!

— თებერვლიდან ჩვენი საწარმოო სანტექნიკური და სხვა ნივთების ქარხნად გადაკეთდება, სპორტული მუშაობის საკითხი განხილულია და პირობას გაძლევთ, ზაფხულისთვის ახალ საამქროებს ახალი სპორტული ბაზებიც დაუმშვენებს მხარს. ამას ხომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაც გვავალებს, — გვითხრეს ქარხანაში.

— კეთილი, მაგრამ არ დაგავიწყდეთ: პირობა — პირობაა!

ნ. კევლიშვილი.

თელავი

სოფელ თეთრწყლებში, სადაც ამას წინათ საზოგადოებრივ საწყისებზე სათხილამურო ბაზა გაიხსნა, ჩატარდა სამთო-მოთხილამურეთა პირადი პირველობა. ასპარეზობაში 45 სპორტსმენი მონაწილეობდა. სლალომში გაიმარჯვა თელავის მე-4 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა ა. ალადაშვილმა. სწრაფდაშვებაში — თელავის I სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლემ თ. დაგუნდარიძემ. სპორტკავშირის თავმჯდომარემ უ. გაგნიძემ რაიონის პირველ ჩემპიონებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები — თხილამურების კომპლექტი გადასცა.

გ. ელიოზიშვილი.
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

საკუთარი ძალებით

ზუგდიდის მე-2 სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურული კოლექტივი დროულად გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე. მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით მოაწყვეს ხელბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

ამჟამად ინტერნატის აღსაზრდელთა განკარგულებაშია ფრენბურთის სამი, კალათბურთისა და ხელბურთის ორ-ორი მოედანი.

ა. ბაკურაძე,
ზუგდიდის მე-2 სკოლა-ინტერნატის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

„ლელო“ წერილის კვალდაკვალ

„უდანაშაულო დევნილი“

ჩვენი გაზეთის 1966 წლის 5 ოქტომბრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებლის, სპორტის ოსტატ ლ. ლილუაშვილის შევიწროებისა და სამსახურიდან უკანონოდ დევნის შესახებ. წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტს, რომელმაც შეგვატყობინა:

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის კურსდამთავრებული, სპორტის ოსტატი თანამედროვე ხუთჭიდში ლ. ლილუაშვილი სატყეო ტექნიკუმის ცურვის სექციის ხელმძღვანელად დაინიშნა 1965 წლის აპრილიდან, სექტემბრიდან კი ფიზაღზრდის მასწავლებლადაც გააფორმეს. ამასთან, ლილუაშვილი საზოგადოებრივ საწყისებზე ამეცადინებდა ფრენბურთელ გოგონათა გუნდსაც.

იმავე წლის დეკემბერში ტექნიკუმის დირექტორის ი. კირტავას ბრძანებით ფრენბურთელ გოგონათა სექციის ხელმძღვანელად გააფორმეს ფიზაღზრდის მასწავლებელი კ. დავითულიანი (ხელფასსაც ამისთვის იღებდა), სინამდვილეში ეს უკანასკნელი ტყვიის მსროლელთა სექციას ამეცადინებდა დირექტორის სიტყვიერი განკარგულებით. სექციას აღარც განაწესებული ლილუაშვილი ხელმძღვანელობდა და ფრენბურთელ გოგონათა საწვრთნელი მეცადინეობაც შეწყდა.

ტექნიკუმის ყოფილმა ფიზაღზრდის უფროსმა მასწავლებელმა ჭ. კვიციანმა 1965 წლის ივლისის დასაწყისში ბუღალტერ ო. ფაიქიძის თხოვნით აიღო ლილუაშვილის ივნისის ხელფასი — 33 მანეთი. ამით ტექნიკუმის ბუღალტერმა ო. ფაიქიძემ უხეშად დაარღვია მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის გაცემის წესი.

იმავე წლის დეკემბერში ტექნიკუმის დირექტორმა კადრების აღრიცხვის მუშაკს კ. დავითულიანს დაავალა შეედგინა ბრძანების ტექსტი ფასიანი სპორტული სექციებისა და ფიზაღზრდის კაბინეტის გაუქმების შესახებ. შემდგომ კი, ტექნიკუმებს შორის საქართველოს პირველობასთან დაკავშირებით, სექციური მუშაობის გასაგრძელებლად საჭირო სახსრები მაინც გამონახეს. მიუხედავად ამისა, საქმეთა მმართველის უყურადღებობით დაიბეჭდა ფიქტიური ბრძანება სპორტული სექციებისა და ფიზაღზრდის კაბინეტის გაუქმების თაობაზე. ბრძანების ერთი ეგზემპლარი გადაეცა ლილუაშვილს. ეს უკანასკნელი დავითულიანმა იქვე გააფრთხილა: ბრძანება შეცდომით გამოვიდაო. ლილუაშვილი სამსახურიდან საბოლოოდ 1966 წლის 1 აგვისტოს, მისი შვებულებაში ყოფნის დროს (!) გაათავისუფლეს.

აღნიშნულ ფაქტებზე იმსჯელა ქუთაისის სპორტკავშირის პრეზიდიუმმა, სატყეო ტექნიკუმის ფიზაღზრდის ყოფილ უფროს მასწავლებელს ჭ. კვიციანს, რომელმაც ლ. ლილუაშვილს დაგვიანებით გადასცა კუთვნილი ხელფასი, სასტიკი საყვედური გამოეცხადა. პრეზიდიუმმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა ფიზაღზრდის უფროს მასწავლებელს კ. დავითულიანსაც და გაათავისუფლა იგი თანამდებობიდან.

თანამდებობიდან გაათავისუფლეს ფიზაღზრდის მასწავლებელი ლ. ლილუაშვილიც, როგორც არასპეციალური უმაღლესი განათლების მქონე.

რედაქციისაგან: საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პასუხში მოყვანილი ფაქტების, აგრეთვე, ქუთაისის სპორტკავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი არ შეგვაქვს. მაგრამ საინტერესოა, როგორ გადარჩნენ დაუსჯელნი ამდენი დარღვევის „თანაავტორები“ ტექნიკუმის დირექტორი ი. კირტავა და ბუღალტერი ო. ფაიქიძე? იქნებ ყველაფერში მართლაც მხოლოდ ფიზკულტურის მასწავლებლები იყვნენ დამნაშავენი?

რა მანძილია კანაშიდან გრენობლამდე?

საბჭოთა მოთხილამურეებს კარგა ხანია დაავიწყდათ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვების გემო. მაგრამ ახლა მათ ისევ გაუჩნდათ იმედი და დაკავშირებულია იგი, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდა მორბენლების სახელებთან, საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატებით რომ დაიწყეს სეზონი.

სპეციალისტების აზრით, ა. აკენტიევი, ვ. ვედენინი, ვ. ტარაკანოვი, ვ. ვორონკოვი უკვე დღესაც არავის დაუდებენ ტოლს. მათ ეს დაამტკიცეს კიდეც შვეციის ამასწინანდელ შეჯიბრებებში, უფრო გვიან კი — კავგოლოვოში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 22 წლის ჩუვაში ვლადიმერ ვორონკოვი.

„ღრმად მწამს, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის ვორონკოვი ჩვენი გუნდის № 1 მოთხილამურე და გრენობლის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება", — მითხრა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ნ. ანიკინმა.

ვორონკოვმა, ტანადმა ჭაბუკმა, სენსაცია მოახდინა შვეციაში, წინასაახალწლო რბოლის დროს. იქ მან მოუგო მსოფლიოს ჩემპიონს ნორვეგიელ ი. ეგენს. კავგოლოვოში ვორონკოვმა აჯობა კიდევ ერთ მსოფლიო ჩემპიონს ე. მიანტიურანტას. საბჭოთა მოთხილამურე მესამე იყო 15 და 30-კილომეტრიან ტრასებზე და მრავლისაღმთქმელი სტაბილურობა გამოავლინა.

ვორონკოვს ვთხოვე ეამბნა, როგორ მოვიდა დიდ სპორტში.

— ჩვენთან, კანაშში, — მიპასუხა მან, — თხილამურებით ყველა დასრიალებს. მაგრამ სათხილამურო სპორტს ხელი სერიოზულად მოვკიდე მხოლოდ 1960 წელს, ჩელიაბინსკის სახელოსნო სასწავლებელში რომ ვსწავლობდი. ჩემი პირველი მწვრთნელი? ივანე პანკინი. იგი მხოლოდდამხოლოდ მოკრძალებული პირველთანრიგოსანი გახლდათ, მაგრამ სწავლით ბევრი რამ მასწავლა. ღრმა პატივისცემას ვგრძნობ ჩემი მეორე მწვრთნელის — ვ. გრიგორიევის მიმართ. მასთან 1962 წლიდან ვვარჯიშობდი, მას შემდეგ, რაც სასწავლებელი დავამთავრე, კანაშში დავბრუნდი და ზეინკლად დავიწყე მუშაობა. ახლა საბჭოთა არმიაში ვარ და ნ. ანიკინთან ვმეცადინეობ.

● **როდის შედგა თქვენი დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე?**

— 1964 წელს ნორვეგიაში გამოვედი მოთხილამურეთა შეჯიბრებაში და მე-4 ადგილი დავიკავე 15 კილომეტრზე რბენაში. ერთი წლის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებში მიმიწვიეს.

● **რომელი დისტანციები გიყვართ?**

— 15 და 30-კილომეტრიანი. განზრახული მაქვს ოლიმპიადისთვის მარათონსაც — 50 კმ — დავეუფლო.

● **რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა საკავშირო რბოლაში 70 კმ-ზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა?**

— მე ძალიან მსურდა სტარტზე გამოსვლა, მაგრამ მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ ზემარათონისთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ. რა თქმა უნდა, არ შევეკამათებივარ.

● **რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა პირველად დაამარცხეთ მსოფლიოს ჩემპიონი?**

— დაღლილობის გრძნობა. მერე კი, როცა რბოლის მიმდინარეობას გადავხედე, დავასკვენი: ჩემპიონების დამარცხება შეიძლება, თუ არ შეუშინდები მათ.

● **როგორ გგონიათ, მიაღწევენ რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას საბჭოთა მოთხილამურეები გრენობლში?**

— დარწმუნებული ვარ. დროა წარსული პრესტიჟი დავიბრუნოთ. ჩემს ამხანაგებს კი დღეს დიდი ძალა აქვთ.

● **კმაყოფილი ხართ მიმდინარე სეზონის სტარტის შედეგებით?**

— ძალიან კმაყოფილი ვარ. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ ვერ ჩავდექი ნამდვილ საბრძოლო ფორმაში. ვფიქრობ, სათანადოდ მომზადებული მხოლოდ თებერვლისთვის ვიქნები.

● **ვინ მიგაჩნიათ მთავარ მეტოქეებად ოლიმპიადაზე?**

— აკენტიევი, ვედენინი, ვორონჩიხინი, ტარაკანოვი, ნასედკინი.. უცხოელებიდან — ნორვეგიელები ეგენის მეთაურობით, მიანტიურანტა.

● **მიანტიურანტა ძალზე წარუმატებლად რომ გამოვიდა კავგოლოვოში, ეს შემთხვევითია?**

— მხოლოდ ტაქტიკური ეშმაკობაა. ოლიმპიადისთვის მიანტიურანტა მზად იქნება.

● **ბოლო შეკითხვა: როგორ უყურებს თქვენი ოჯახი სპორტით თქვენს გატაცებას? თუ ოჯახი ჯერ არც შეგიქმნიათ?**

— რატომ? ჩემი მეუღლე ვალენტინა ბუღალტერია. სამწუხაროდ, იგი არც სპორტსმენია, არც გულშემატკივარი. ხანდახან ბუზღუნებს ხოლმე, დიდი ხნით რომ გადავიკარგები შეჯიბრებებზე. ქალიშვილი მეზრდება. იმედი მაქვს, ის უფრო გულმოწყალე თვალით შეხედავს მამის „უცნაურობას". ახლა იგი 2 წლისაა და მალე ვასწავლი თხილამურებით სიარულს.

დასასრულ, ნ. ანიკინს ვთხოვე ეამბნა, როგორ ემზადება ვლადიმერ ვორონკოვი.

— ვორონკოვთან ინდივიდუალურად ვმუშაობ, — მითხრა მწვრთნელმა,—ვლადიმერს მეტისმეტად თავისებური ხასიათი აქვს. ზაფხულში ჩვენ დიდ დროს ვუთმობდით სპეციალურ წვრთნას. ვლადიმერმა დიდხანს ივარჯიშა ციგურებით, რომლებსაც საგანგებოდ მძიმე გორგოლაჭები ჰქონდა. სეზონის დამდეგიდან მან უკვე 2 ათას კილომეტრზე მეტი გაიარა თხილამურებით. მწამს ვორონკოვის შესაძლებლობების მქონე მოთხილამურე დიდი ხანია არ გვყოლია.

ა. ხრებნიცკი.

ნორჩ ფეხბურთელთა საინტერესო შეჯიბრება მიმდინარეობს თბილისის ლენინის სახელობის სტადიონზე. განათლების განყოფილების სპორტსკოლის გუნდები, რომელთა რაოდენობა 40-ს აღწევს, ჩაებნენ ტრადიციულ სასკოლო გათამაშებაში.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ნორჩი ფეხბურთელები ტურნირის გახსნის პარადზე. მარჯვნივ — „მერცხლისა" (მწვრთნელი შ. მერკვილაძე) და „სხივის" (მწვრთნელი შ. ბოკუჩავა) შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. გენგიურისა.

იუტა — მომავალი ნონა?

გაიცანით: იუტა ჰემპელი ქალაქ ფლენსბურგიდან (გფრ), 6 წლის, ქერა ნაწნავებით... ერთი სიტყვით, ჯერ დავიმახსოვროთ მხოლოდ მისი სახელი: იუტა ჰემპელი.

ახალი წლის დამდეგს 12 „ძია" მიუჯდა საჭადრაკო მაგიდებს ერთი... პატარა გოგონას წინააღმდეგ. ამ უკანასკნელმა ტელეობიექტივის „თვალწინ" ცხრა პარტია მოიგო, ორი წააგო, ერთი ყაიმით დაამთავრა. ყოველივე ეს იუტამ ჩვეულებრივ ამბად ჩათვალა და შინ გაეშურა.

ვინ არის ეს გოგონა, ჭადრაკის ვუნდერკინდი? ალბათ. აბა, იუტას მამას მოვუსმინოთ: მისი აზრით, იუტა „ჩვეულებრივი ბავშვია", თოჯინები უყვარს, თამაშს მუდამ ბიჭებთან ამჯობინებს, ხეებზე დაცოცავს. ორი წლისა იყო ჭადრაკი რომ შეუყვარდა. შეუყვარდა ისე, რომ სახლში ერთადერთი დაფა ხელში ჩაიგდო და აღარავის ანებებდა. იძულებული გახდნენ მეორე ეყიდათ. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მამის თანხლებით გაემართა ადგილობრივი საჭადრაკო კლუბისკენ და რიგრიგობით მოუგო ყველა იქ მყოფს.

შემოდგომიდან იუტა სკოლაში დადის. ერთ თვეში მან იმდენად გაუსწრო თავის ტოლებს, რომ ინდივიდუალურ დავალებებს აძლევენ. ჭადრაკის თამაში იუტამ გაცილებით ადრე ისწავლა, ვიდრე წერა-კითხვა, მაგრამ მაშინაც კარგად ერკვეოდა საჭადრაკო დიაგრამებში. ვარჯიშით კი იგი ვარჯიშობდა მამასთან — „ბრძენთა თამაშის" დიდ მოყვარულთან. მამის წიგნის თარო იუტას განკარგულებაშია. ამას გარდა, იუტა თავად ასწავლის სხვებს. ხუთი წლისა რომ იყო, ჭადრაკი დედას, 40 წლის ქალს შეასწავლა. იუტას თერთმეტი წლის ძმა კი დღემდე არ გაჭკარებია დაფას.

ამობრწყინდება თუ არა იუტა ახალ საჭადრაკო ვარსკვლავად, ამას დრო გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი იგი, როგორც დასავლეთის სააგენტოები ირწმუნებიან, შიშის ზარს სცემს „უმაღლესი კატეგორიის მოჭადრაკეებსაც" კი.

1966 წლის ათი საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენის სიაში შევიდა კიეველი ძალოსანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბელიაევიც. ძალოსანთა მსოფლიოსა და ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში მან სამჭიდის ჯამში 485 კგ დააგროვა და I ადგილი დაისაკუთრა საშუალო წონით კატეგორიაში.

საბჭოთა არმიის ოფიცერი ვლადიმერ ბელიაევი 26 წლისაა. ძალოსნობაში ვარჯიში ათი წლის წინ დაიწყო „ავანგარდის" სპორტულ სექციაში ი. კრინიცკის ხელმძღვანელობით, რომელიც ახლაც მისი მწვრთნელია. არმიაში წასვლამდე ბელიაევი ქარხანა „კრასნი ექსკავატორში" მუშაობდა ზეინკლად. ახლა იგი სამჭიდში თავისი შედეგის გაუმჯობესებაზე ოცნებობს და გულმოდგინედ ვარჯიშობს ამ მიზნის მისაღწევად.

სურათზე: ვ. ბელიაევი მეუღლესთან და ვაჟთან ერთად.

ფოტო მ. ბერმანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ყოველი მხრიდან

კურსი — მეხიკო

გაზეთმა „დოიჩეს შპორტ-ეხომ" (გდრ) შეკითხვით მიმართა ცნობილ სპორტსმენებს: „როგორ ემზადებით მექსიკის ოლიმპიური თამაშებისთვის?" აი, რა უპასუხა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა 200 მეტრზე და 220 იარდზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ამერიკელმა დ. შოლანდერმა:

„ჩემი აზრით, მეხიკოს მაღლობი მდებარეობა, სადაც მომავალი ოლიმპიური თამაშები უნდა შედგეს, ისეთი პრობლემაა, რომლის გადაჭრა საჭიროა ახლავე, თორემ მერე გვიანი იქნება. მოცურავეთათვის ასეთი სიმაღლე ნიშნავს ნორმალურზე გაცილებით უფრო მეტ დატვირთვებს, ამიტომ მე ჩემს მწვრთნელთან ერთად გადავწყვიტე გავზარდო წვრთნის ხანგრძლიობა და ინტენსიურობა. ახლა მარტო აუზში ვვარჯიშობ 3-4 საათს დღეში. ვფიქრობ, ოლიმპიური თამაშების წინა წელს სპორტსმენმა ზედმეტი დაძაბულობა არ უნდა მიაყენოს თავის თავს, რის გამოც განზრახული მაქვს მონაწილეობა მივიღო მხოლოდ ორ დიდ შეჯიბრებაში — პანამერიკულ თამაშებში, რომელიც ივლისში მოეწყობა კანადაში და უნივერსიადაზე — იაპონიაში. შარშანდელ ჩემს საუკეთესო მიღწევად მიმაჩნია 53,2 წამი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით, რომელიც მოსკოვში ვაჩვენე. წელს განზრახული მაქვს გავაუმჯობესო ჩემი საუკეთესო მაჩვენებლები ყველა სპრინტერულ დისტანციაზე".

აი, კიდევ ერთი პასუხი, რომლის ავტორია მსოფლიო რეკორდსმენი 3.000 მეტრზე რბენაში კენიელი კ. კეინო:

„სხვა მრავალ სპორტსმენთაგან განსხვავებით, მე არ მეშინია მეხიკოს სიმაღლისა. პირიქით, მისი იმედიც მაქვს. ჩემს სამშობლოში — კენიაში ხომ რბენა მთიან ადგილმდებარეობაზე მიხდება და ამიტომ აკლიმატიზაციაც არ დამჭირდება. ახლა ყურადღებით ვსწავლობ ევროპისა და ავსტრალიის მძლეოსნების მეთოდურ გამოცდილებას და ამასთან დაკავშირებით შევცვალე მეხიკოს თამაშებისთვის გამიზნული საწვრთნელი პროგრამაც. რბენის გარდა ვმეცადინეობ სხვა სახეობებშიც, მათ შორის, სიმძიმეების აწევაში. ეს აუმჯობესებს ფიზიკურ გამძლეობას. განვლილ ბრიტანულ თამაშებზე იამაიკაში შევძელი ამ შეჯიბრების რეკორდის განახლება 1 მილზე რბენაში, რომელიც 12 წლის განმავლობაში ეკუთვნოდა ცნობილ მძლეოსანს რ. ბანისტერს. ოლიმპიადის წინა წელს მიზნად მაქვს დასახული დავამყარო მსოფლიო რეკორდი ამ დისტანციაზე. მაშინ უფლებას მივცემ ჩემს თავს ჩავთვალო, რომ მზად ვარ მეხიკოს ოლიმპიადისთვის".

ასს-ი.

[illegible]

ფეხბურთი

საინტერესო წინადადება

გფრ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰ. შიონმა ამ დღეებში მიიღო საინტერესო წერილი ამ ქვეყანაში მოთამაშე იუგოსლაველი ფეხბურთელებისგან, რომელთაც სურთ შეხვდნენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს.

აი, გფრ-ში მყოფ იუგოსლაველ ფეხბურთელთა სია: მეკარეები — შოშკიჩი („ფკ კიოლნი“) და რადენკოვიჩი („მიუნჰენ 1860“), მცველები და ნახევარმცველები — ბენა („ჰანოვერი“), იუსუფი („აინტრახტი“), ვუკოვი (მიუნჰენის „ბაუერნი“), დურკოვიჩი („ბორუსია“), პერუშიჩი („მიუნჰენ 1860“), თავდასხმა — მილადინოვიჩი („ნიურნბერგი“), შეკულარაცი („კარლსრუერ შკ“), პავლიჩი („დუისბურგი“), ნიკოლიჩი („შალკე 04“) და ანკოვიჩი („კაიზერლაუტერნი“).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი თამაშობდა იუგოსლავიის ნაკრებში, რომელმაც 1962 წელს ჩილეში მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშებიდან გამოთიშა გფრ-ის გუნდი.

გვესაუბრება

ირენა კირშენშტეინი

— ჩემთვის გასული წელი კარგად დამთავრდა, წლევანდელი კი არანაკლებ კარგად დაიწყო, — უთხრა ირენა კირშენშტეინმა აას-ის კორესპონდენტს. და ამ წარმატებას რამდენადმე საბჭოთა ჟურნალისტებს უნდა ვუმადლოდე. საკდესის წინა საახალწლო ანკეტის შედეგებით მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენ ქალად მაღიარეს. მერე ლონდონის „უორლდ სპორტმა“ ჩაატარა გამოკითხვა და იქაც პირველი ვიყავი. ბოლოს, კიდევ ერთი სასიამოვნო ტიტული—ჩემი სამშობლოს საუკეთესო სპორტსმენი ქალის სახელი მომიტანა პოლონეთის სპორტის მოყვარულთა საერთო კენჭისყრამ 15 იანვარს.

ჩემი შარშანდელი მიღწევებიდან ყველაზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ევროპის პირველობაში გამარჯვებას, რითაც მოვიპოვე კონტინენტის ჩემპიონის სახელი სიგრძეზე ხტომაში. 200 მეტრზე რბენასა და ესტაფეტაშიც არა მიშავდა, მაგრამ ეს არაა იმდენად საყურადღებო. ახლა ევროპაში ამერიკელი და ავსტრალიელი ქალიშვილებივით ძლიერი სპრინტერები არ არიან. აქედან გამომდინარე, ნაკლებია მეტოქეობის სიმძაფრეც. სიგრძეზე ხტომაში კი ევროპა ლიდერია. ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მძლეოსნობის ამ სახეობაში ყველა მედალი ევროპელმა სპორტსმენმა ქალებმა დაისაკუთრეს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ევროპის ჩემპიონის ტიტული სიგრძეზე ხტომაში უფრო ფასეულია ჩემთვის, ვიდრე 200 მეტრზე რბენაში გამარჯვება.

დიდად მიხარია სწავლაში წარმატებაც. კმაყოფილი ვარ, რომ კარგად ჩავაბარე ეკონომიური ფაკულტეტის მეორე კურსის ყველა გამოცდა ვარშავის უნივერსიტეტში. სამ საგანში ფრიადი მივიღე, ორში—კარგი. განა ეს გამარჯვება არ არის?

ზოგჯერ მეკითხებიან, ვინ მიგაჩნია მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენადო. პოლონეთის საუკეთესო სპორტსმენი ქალი, ჩემი აზრით, ევა კლობუკოვსკაა. მან შეძლო ჩვენი ესტაფეტა მეხუთედან პირველ ადგილზე გადაეწია და გამარჯვება მოეპოვებინა. სწორედ მისი დამსახურებაა ოქროს მედლები რომ დავისაკუთრეთ. რაც შეეხება მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენს, გადაჭრით რაიმეს თქმა მიჭირს. ისე კი, მიშელ ჟაზის მივიჩნევდი უპირველესად. მან გადაწყვიტა ჩამოსცილდეს დიდ სპორტს მაშინ, როცა მწვერვალზე ავიდა, ევროპის ჩემპიონატში პირველი ადგილი მოიპოვა და მსოფლიოს რამდენიმე რეკორდი დაამყარა. ეს გმირული გადაწყვეტილებაა. იქნებ, საუკეთესოდ დამესახელებინა ეუსებიოც. მე ტელევიზიით ვუყურებდი, რა თავგამეტებით იბრძოდა იგი თავისი გუნდის ღირსების დასაცავად და მაინც, უპირველესად რაინდი იყო. ვხედავდი, როგორ ჩამოართვა ეუსებიომ ხელი საბჭოთა მეკარეს, როცა იაშინმა აიღო მისი ძალზე სახიფათო ბურთი. ამას ყველა ვერ შეძლებს.

ჩემი გეგმები მომავალი წლისთვის. ჯერ ერთი, ძალის გამომუშავება. სიგრძეზე ხტომისას მე ძალიან ადრე ვუშვებ ფეხს და უფრო ახლოს ვხტები მიწაზე, ვიდრე მსურს. ეს იმიტომ ხდება, რომ ძალა არ მყოფნის, განსაკუთრებით, ზურგის კუნთების ძალა. ამას გარდა, ვფიქრობ, რომ ესტაფეტებში მეორე ვირბენ და არა მესამე, როგორც დღემდე. სწორზე გაცილებით უკეთ დავრბივარ, ვიდრე მოსახვევში.

ამ ბოლო ხანს, საერთოდ, უფრო მეტად ვუფიქრდები საკუთარ შედეგებს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ორი წლის წინ ჩემს მიღწევებს ხალხი საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. დიდ კმაყოფილებას ვგრძნობდი, თუ მაშინ ჯერ კიდევ ერთობ საშუალო სარეკორდო დროს გავაუმჯობესებდი და არც ისე მნიშვნელოვანი შეჯიბრებების საგაზეთო ანგარიშებში სადღაც მეხუთე, ან მეექვსე ადგილზე წავაწყდებოდი ჩემს გვარს. ახლა, როცა პოპულარობა მოვიხვეჭე, ბევრი ფიქრობს, რომ მუდამ დაუმარცხებელი ვიქნები. დიახ, ბევრი ისე იქცევა, თითქოს ვალდებული ვარ მუდამ გავიმარჯვო. თუ ევა კლობუკოვსკასთან წავაგე, კიდევ არაფერი, მაგრამ სხვასთან დამარცხებას არ გაპატიებენ. რა თქმა უნდა, პოპულარობა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, სასიამოვნოა. მაგრამ თუ შენგან მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვენ, თუ შენი პოპულარობა მხოლოდ ამგვარად გამოიხატება, მაშინ სპორტში ძალიან ბევრს კარგავ და აღარც შეჯიბრებებში მონაწილეობა განიჭებს ნამდვილ სიხარულს.

სწორედ ამიტომაა, რომ ახლა გაცილებით მეტს ვფიქრობ წვრთნის მეთოდებზე, სახეობების არჩევაზე. არ მინდა ვინმეს გული ვატკინო, არც საყვედურების მოსმენა მსურს. ხუთჭიდში, სადაც ჩემი რეკორდი 4.782 ქულაა და სიმაღლეზე ხტომაში (168 სმ), ალბათ იშვიათად ავიღებ სტარტს. მთელ ძალას მოვახმარ უმთავრესად სამ სახეობას—200 მეტრზე რბენას, სიგრძეზე ხტომას და თარჯრბენს, თუ დისტანცია 80-დან 100 მეტრამდე გაიზრდება.

რასაკვირველია, მსურს უნივერსიტეტის მესამე კურსი იმავე წარმატებით დავამთავრო, რა შედეგებითაც მეორე კურსი დავასრულე. ამას გარდა, დიდი სურვილი მაქვს შევხვდე ლ. სამოტიოსოვას. ჩვენ ერთად დავიწყეთ ოლიმპიური კარიერა ტოკიოში, ერთად ვირბინეთ 200 მეტრზე ფინალური ასპარეზობისას და ყველა ჩვენი შეხვედრა ძალიან მეგობრული იყო. მეტოქეებთან მეგობრობა კი თავისებური გამარჯვებაა.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

ინგლისი: სტაილსმა კვლავ „ისახელა“ თავი

ჩემპიონატის მორიგ ტურში შაბათს ერთმანეთს შეხვდა მანჩესტერის ორი გუნდი: „მანჩესტერ-სიტი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“. პირველ ტაიმში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა სტაილსმა, რომელმაც 21-დღიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველად ითამაშა, თავით გაიტანა გოლი... საკუთარ კარში. მხოლოდ მატჩის მიწურულში შეძლო ფოუქსმა ანგარიშის გათანაბრება — 1:1. „ლივერპულმა“ გასვლითი მატჩი მოუგო „საუთჰემპტონს“ — 2:1. „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ვეტერანებმა ჯონსმა და გრივსმა თავისებური რეკორდი დაამყარეს: 30 წამის განმავლობაში ორჯერ აიღეს „ბერნლის“ კარი — 2:0.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ბლეკპული“ — „არსენალი“ 0:3, „ჩელსი“ — „ასტონ ვილა“ 3:1, „ლიდს იუნაიტედი“ — „ფულჰემი“ 3:1, „ლეისტერ-სიტი“ — „სანდერლენდი“ 1:0, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 0:0, „შეფილდ იუნაიტედი“ — „სტოკ-სიტი“ 2:1, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ევერტონი“ 1:0, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — „შეფილდ უენსდეი“ 3:0.

საუკეთესო სნაიპერია ჯ. ჰერსტი („ვესტ ჰემ იუნაიტედი“) — 25 გოლი.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„ლივერპული“	27	48:30	37
„მანჩესტერ იუნაიტ.“	26	51:34	36
„ნოტინგემ ფორესტი“	27	39:30	35

შოტლანდია: ლიდერის მორიგი გამარჯვება

გლაზგოს „სელტიკმა“ XX ტურში შინ მოუგო ედინბურგის „ჰიბერნიენსს“ — 2:0. „გლაზგო რეინჯერსმა“ გასვლით მატჩში „ფოლკერკთან“ სმითის ერთი გოლის წყალობით 2 ქულა მოიპოვა.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „აბერდინი“ — „დანფერმლაინ ატლეტიკი“ 1:2, „დანდი იუნაიტედი“ — „სტერლინგ ალბიონი“ 2:0, „ჰართ ოვ მიდლოტიენი“ — „ეირ იუნაიტედი“ 1:0, „კილმარნოკი“ — „დანდი“ 4:4, „მადერუელი“ — „კლაიდი“ 1:1, „პარტიკი“ — „სენტ-ჯონსტონი“ 3:0, „სენტ-მირენი“ — „ეირდრიონიენსი“ 0:3.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„სელტიკი“	20	69:23	35
„გლაზგო რეინჯერსი“	19	56:17	31
„აბერდინი“	20	41:25	26

ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზამბიკელი ზანგი ეუსებიო დიდი პოპულარობით სარგებლობს ინგლისში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეუსებიომ მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში არა მარტო ბრიტანელი, არამედ მთელი მსოფლიოს ფეხბურთის გულშემატკივართა სიმპათია დაიმსახურა ლამაზი, აგრესიული და ამავე დროს კორექტული თამაშისთვის. ინგლისის რადიომ ბი-ბი-სიმ ეუსებიო 1966 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა და მას სპეციალური ჯილდოც გადასცა (ადრე, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ეუსებიომ ბი-ბი-სის კიდევ ერთი პრიზი დაიმსახურა, როგორც ყველაზე აგრესიულმა და შედეგიანმა ფეხბურთელმა).

• • •

სურათზე: სახელგანთქმულ მოზამბიკელ ზანგს ბი-ბი-სის თანამშრომელი ჯილდოს მიღებას ულოცავს.

ბრაზილიელები ჩამოდიან ევროპაში

რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადდა, რომ ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ივნისში გაემგზავრება ევროპაში რამდენიმე ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. აი, ბრაზილიელ ფეხბურთელთა გამოსვლების კალენდარი: 2 ივნისს ისინი ითამაშებენ კოპენჰაგენში დანიის ნაკრებთან, 9 ივნისს შეხვდებიან გფრ-ის ნაკრებს, 12 ივნისს გამოვლენ ბრიუსელში ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ, 16 ივნისს პარიზში — საფრანგეთის ნაკრებთან, 23 ივნისს — იტალიის ნაკრებთან, ხოლო 30 ივნისს ლისაბონში — პორტუგალიის ნაკრებთან.

ამას გარდა, ბრაზილიელთა მწვრთნელმა ა. მორეირამ დანიშნა ერთი მატჩი საკლუბო გუნდთან. 19 ივნისს მილანში მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ხვდებიან „ინტერნაციონალეს“. ბრაზილიელთა ნაკრები მწვრთნელის ცნობით, მთლიანად გადახალისდება.

„ტკბილი ფორთოხალი“ და „მჟავე ლიმონი“

მეტად ორიგინალური გამოკითხვა ჩაატარა ტურინის (იტალია) გაზეთმა „ტუტოსპორტმა“. რედაქციამ იტალიელ ჟურნალისტებს თხოვნით მიმართა დაესახელებინათ რომელი სპორტული მოღვაწე ადვილად მისაწვდომი (იგულისხმება ჟურნალისტური პოზიციიდან) და რომელი — მიუწვდომელი. პირველ ადგილებზე გასულთათვის დაწესებული იყო 2 ჯილდო — „ტკბილი ფორთოხალი“ და „მჟავე ლიმონი“.

„ფორთოხლის“ მფლობელი გახდა „იუვენტუსის“ მწვრთნელი ერიბერტო ერერა, ხოლო „ლიმონსა“ — იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პასკუალე. მესამე ადგილი „მჟავე ლიმონისთვის“ ბრძოლაში წილად ხვდა ელენიო ერერას.

კრივის ახალი ამბები

● **რომი.** ოლიმპიური ჩემპიონი, იტალიელი ატცორი გამოეთხოვა სამოყვარულო რინგს და პროფესიონალებში გადავიდა. ამ ამბავმა კრივის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელები სერიოზულად შეაშფოთა. მაგრამ მოულოდნელად, იტალიის რინგზე ამობრწყინდა ახალი ვარსკვლავი — მენკარელი, რომელმაც დამაჯერებლად მოიგო ქვეყნის პირველობა.

● **ნიუ-იორკი.** ტოკიოს ოლიმპიადის არც ერთი პრიზიორი მძიმე წონაში მეხიკოს რინგზე არ გამოვა. ისინი უკვე კარგა ხანია პროფესიონალებში გადავიდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების „იმედი“ მეხიკოში 24 წლის დეტექტივი ჯ. ჰოუარდი იქნება. ახალგაზრდა მოკრივეს ჩატარებული აქვს 26 შეხვედრა, რომელთაგან 25 მოიგო. აღსანიშნავია, რომ ჰოუარდმა 20 ბრძოლა ნოკაუტით დაამთავრა.

● **ჩიკაგო.** ამერიკის შეერთებული შტატების კრივის მესვეურები მეხიკოში ოქროს მედალს ვარაუდობენ ქვემძიმე წონის ათლეტთა შორის. ამ ტიტულის პრეტენდენტად მათ მიაჩნიათ 22 წლის ტ. გრიფინი, რომელმაც თავი გამოიჩინა აშშ-ის ღია ჩემპიონატში. გრიფინმა წელს ამერიკის მოკრივეთა უმაღლესი ჯილდო — „ოქროს ხელთათმანები“ დაიმსახურა.

● **კიოლნი.** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დიდ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდა მოკრივე რ. მეიერზე. მან თავისი ქვეყნის ჩემპიონის წოდება უკვე ორჯერ მოიპოვა — 1965 და 1966 წლებში. მეიერს სულ ჩატარებული აქვს 170 შეხვედრა და მათგან მხოლოდ 9 წააგო.

● **კალიფორნია.** ამ რეკორდს მრავალი წლის მანძილზე ვერავინ მოხსნის. დ. ჰოუარდი „პატარა“ კალიფორნიის შტატიდან, აშშ-ის ჩემპიონი პირველად 1961 წელს გახდა, როცა 15 წლისა იყო. ასეთი რამ კრივის ისტორიას ჯერ არახსოვს. იგი შტატების ჩემპიონი კიდევ ორჯერ იყო: 1963 და 1966 წლებში. ამბობენ, რომ ჰოუარდი პროფესიონალი გახდებაო. საქმე ისაა, რომ შეხვედრების უმრავლესობას ეს ნიჭიერი მოკრივე ნოკაუტით ამთავრებს. თავის ხანმოკლე კარიერაში ჰოუარდს დროზე ადრე 40 ბრძოლა აქვს დამთავრებული.

△ **სიდნეი.** 17 წლის ავსტრალიელმა მ. უენდენმა ახალი სამხრეთ უელსის შტატის ჩემპიონატში 400 მეტრი თავისუფალი სტილით 4.12,4-ში გაცურა, რაც ფ. ვიგანდის (გდრ) მსოფლიო რეკორდზე მხოლოდ 1,3 წამითაა უარესი. უენდენის ეს მაჩვენებელი მესამეა ამ დისტანციაზე ცურვის ისტორიაში.

△ **ოკლენდი** (ახალი ზელანდია). აქ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ლ. მილსმა ბირთვი ჰკრა 19,50 მეტრზე და ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. მანამდე ასეთი შედეგი მსოფლიოში სულ 10 სპორტსმენს (7 ამერიკელსა და 3 ევროპელს) ჰქონდა ნაჩვენები.

△ **დასავლეთ ბერლინი.** დახურულ შენობაში გამართულ ტურნირზე გ. შპილფოგელმა 214 სმ სიმაღლე გადალახა, რაც წლეულს საუკეთესოა ევროპაში.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი იუწყება თანამშრომლის ამირან ბარნოვის დედის
ქეთევან ალექსანდრეს ასულ ბოჭორაძე-ბარნოვის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03933